



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №12/1

2021 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ წარმოდგენილი ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება

2021 წლის 9 მარტს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (შემდგომში – კომისია) შპს „გარდაბნის თბოსადგურმა“ წარმოადგინა №TPP-79 წერილი და მოითხოვა მას და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის 2021 წლის აპრილი-ივნისის პერიოდზე ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 14¹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ა :

1. შეთანხმებული იქნეს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ 2021 წლის 9 მარტის №TPP-79 წერილით კომისიაში წარმოდგენილი შპს „გარდაბნის თბოსადგურსა“ და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის გაფორმებული 2018 წლის 15 ნოემბრის №GTPP 01-12/19 ხელშეკრულება და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2021 წლის 1 მარტის შეთანხმება, 2021 წლის აპრილ-ივნისში ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ.
2. კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ხელშეკრულების ფასის, ანგარიშსწორების პირობების და მოქმედების პერიოდის გამოქვეყნება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).

3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.
5. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

